



საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება



MES 6 20 0000604586



15/07/2020

„ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 06 მარტის №170 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2020 წლის 30 ივნისის №539350 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2018 წლის 06 მარტის №170 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის“ მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 7-13 პუნქტები:

„7. ექსპერტი უფლებამოსილია ექსპერტთა ატესტაციისას მიღებული უარყოფითი შეფასება წერილობითი ფორმით გაასაჩივროს ცენტრში, მისთვის ინდივიდუალური შედეგის გაცნობიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული პირველი საჩივრის ცენტრში რეგისტრაციის მომენტიდან 3 სამუშაო დღის ვადაში ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება საჩივრების განმხილველი სააპელაციო

კომისია, რომელიც განიხილავს კონკრეტული ატესტაციის ფარგლებში მიღებულ უარყოფით შეფასებასთან დაკავშირებულ საჩივრებს.

9. საჩივრების განმხილველი სააპელაციო კომისია შედგება არანაკლებ 3 წევრისგან, რომელთაგან ერთ-ერთი, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, განისაზღვრება აღნიშნული კომისიის თავმჯდომარედ. საჩივრების განმხილველი სააპელაციო კომისიის საქმიანობა განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

10. საჩივრების განმხილველი სააპელაციო კომისია თითოეულ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს მისი ცენტრში რეგისტრაციის მომენტიდან 15 სამუშაო დღის ვადაში.

11. საჩივრების განმხილველი სააპელაციო კომისია, წარმოდგენილი საჩივრისა და კონკრეტული ატესტაციის ფარგლებში არსებული მასალების გათვალისწინებით, იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

- ა) საჩივრის დაკმაყოფილებისა და ექსპერტისთვის დადებითი შეფასების მინიჭების თაობაზე;
- ბ) უარყოფითი შეფასების ძალაში დატოვების თაობაზე.

12. საჩივრების განმხილველი სააპელაციო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში წერილობითი ფორმით ეცნობება ექსპერტსა და ცენტრის დირექტორს.

13. თუ ექსპერტს ატესტაციისას მიღებული უარყოფითი შეფასების ან ატესტაციაზე არასაკმაყოფილო მიზეზით გამოუცხადებლობის საფუძველით უწყდება ექსპერტთა წევრობის სტატუსი და ამავდროულად, შეწყვეტის მომენტისთვის იგი ასრულებს ამ წესით გათვალისწინებულ ფუნქცია - მოვალეობებს, ასეთ შემთხვევაში მისი ექსპერტთა კორპუსის წევრობის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ცენტრის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტში მიეთითება აღნიშნული აქტის ამოქმედების თარიღი, რაც დაკავშირებული უნდა იყოს ექსპერტის მიერ კონკრეტული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მისი ფუნქცია-მოვალეობების დასრულების მომენტთან, გარდა იმ შემთხვევისა, თუ პირი უარს აცხადებს დაკისრებული ფუნქცია - მოვალეობის შესრულებაზე.“.

2. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
დირექტორი
მახარაშვილი თამარ

